

გილოცავთ ახალ 2004 წელს!



შურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო
კოლეგია:

- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტყეშელაშვილი
- (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოხიბარაძე
- დინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკიძე

წაწერილი ბავშვი
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები - შურნალი
„საქართველოს ქალის“
შურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის პირველ გვერდზე - შურნალის
საბუნების თარიღისადმი მიძღვნილი
კოლაჟი - „საქართველოს ქალი“
80 წლისათვის
მეოთხეზე - ბედნიერი ოჯახი.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman. A Magazine
for Women

შურნალი გამოდის
1923
წლიდან



მინა მოგაძიოთ ხოვოს აქვენა ჰოპარეკი ხაპოპ,
ხომოს უავე მუ-8 წეია ობიესი ცხოვროს

მე მოვასი საქსავლი ხაგან ას მახო მოვას
წოი ვაი ასაქე ისევე ქახივი ბიას ევა ვაი
და სხოგოქეის ნეხსი. ა წელი ვაახიქეი
ქახიხობა და მინე ოქევა მუწა ავს და
ვუქიო ხაის ვინ ასი ვაგი და სწო.

აუხიეში ხო ვუვიო მინ სეი საქსავლიზე,
სფხსეოზე ნახასობა, დაქე და ქეი. ვოოქეა
ქეი და მუქ მემოყვანა. მს აქს მინაგნი
ბიას და გმინოს ხო ოქე ვაქეოსი ხაქ სეა
ვაი ვაქეოქე.

და წოიო და ხელო ამაინა მუქა
უნ ასქეოს დახევე. ვაგი ვინე ვეოოქეი
ვაქეო. მე მუქა ხო ეს ვინე ვეიანე
ვაგი და წესიია ხო ვეოქეოპა ხო მუქა
უქო ვაგი ვეოქეი. მუქო მუქი ქახი ხო
ასი ხევეს აი მოქევიო საქსავლის
მომუქი - მუქი და მუქი ვეოქეი მომუქი!
ვეოქეოქეი ვეოქეოქეა მუქი ახიო ასე
ის ხევი მოქევის უქეოქე მუქ საქსავ-
ლის ქეიქეა ვაქეოქეის ვინე და ის
ქევავე აუქეოქეა ვინე.

ოქეინი ხაიო სწეხი

ოქეოქეი მინ.

ჟურნალს 26 წელი ვრედაქმნორობდი

ჩემი მოღვაწეობა ჟურნალ „საქართველოს ძალი“ 1965 წელს დაიწყო. მის შესანიშნავ კოლექტივს ადრეც ვიცნობდი, მე ხომ მათი სარედაქციო კოლეგიის წევრი ვიყავი. ესენი იყვნენ: მირცა კალანდაძე, ნაზი კილასონია, ნანული ბარათაშვილი, ნანული ცაგარეიშვილი, ლია კაკაბაძე, ლეონარდო შენგელია, ირმა ჩოფეცაშვილი, ქეთევან დემურევა, ნანული ბუკია. თბილად მიმიღეს და დაიწყო ჩვენი ერთობლივი საქმიანობა.

ლმხატვრული ყოფილიყო. ამიტომაც ხშირად მივდიოდი მივლინებებში, ვეზღებოდი სოფლის მშრომელებს, ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, ინტელიგენციას, მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, მსახიობებს. და შერე გავიხილი თუ ნანახი ჟურნალის ფურცელზე გადავკვირნა.

მეთხველი ყოველთვის ვურადლებით აღვნიშნავდა თვალს ლია კაკაბაძის, ნაზი კილასონიას, ეთერ ჯავარიძის, ნანული ცაგარეიშვილის, ნაზი თარგამაძის, მანანა ზარიძის, ირმა



● (მარცხნიდან) სხედან: ცინარა ტურელაძე, ნაზი კილასონია, ნანული ბარათაშვილი, ლია კაკაბაძე, ირმა ჩოფეცაშვილი, ნანული ბუკია; დგანან: ნაზი თარგამაძე, ეთერ ჯავარიძე, მარიკა ბარათაშვილი, ნანული ცაგარეიშვილი, ოლია რეცია.

მეთხველი მოხიბლული იყო ჩვენი თანამშრომლების მშვენიერი სტატეებით, ნარეკვევებით, მხატვრისა და ფოტოგორესპონდენტის საინტერესო ნამუშევრებით.

სისტემატურად ტარდებოდა დისკუსიები საპრობლემო თემებზე, საუბრები აღზრდის, სკოლების მუშაობის, პედაგოგთა ავტორიტეტის, ოჯახების განმტკიცების, ობოლ ბავშვებზე ზრუნვის, პატრიარ ქალთა პრობლემების გაუმჯობესების საკითხებზე. ხშირად ეს პრობლემები ადგილებზე ჟურნალისტთა სხვლით გვარდებოდა.

ჩვენ ყოველთვის ვეხმარებოდი იმედისმოცემ, ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც შემდეგ ცნობილ მსახიობებად, მუსიკოსებად, ბალეტის სოლისტებად ჩამოყალიბდნენ. მათ რიცხვში იყვნენ დები ნიორაძეები, რომელთა ხელოვნებას დღეს მსოფლიო იცნობს. (რა თქმა უნდა, ირმა ნიორაძის მე-თაურობით).

ვინ იცის, რამდენი უძილო დამე გამიტარებია, რომ ჟურნალის ყოველი ნომერი საინტერესო, შინაარსიანი და მალა-

ჩოფეცაშვილის, ნანული ბუკიას შემოქმედებას. სახელოვანი მხატვრების ლეონარდო შენგელიას, ცინარა ტურელაძის მხატვრულ ელუსტრაციებს, დავით აკობაშვილის ფოტო-ნამუშევრებს.

...ონებში ვუბრუნდები იმ დღეებს - 1965-1991 წლებს, იმ საოცარი, სიმშრავით გაფრენილ 26 წელს.

ამჟამად ჟურნალის მთავარი რედაქტორია მისი დიდი ხნის მოამავე, ცნობილი ჟურნალისტი, მშვენიერი ნარეკვევის ავტორი ლია კაკაბაძე.

თვალწურს ვადგენებ დღევანდელი ჟურნალის ნომრებს და მიხარია, რომ ძველების გვერდით წარმატებით მოღვაწეობენ ახალგაზრდა ჟურნალისტები: მარინე ნაკაიძე, ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, მანანა იმესაშვილი.

დაე, მარად წარმატებული იყოს „საქართველოს ძალის“ ყოველი წევრის შემოქმედებითი საქმიანობა. გილოცავთ დაბადების დღეს!



და ნექტრად დაღვრილი ლექსები

ანო! და აფხვუკუნდებოდი: – როგორ იყო, იმ მექალთანე მწერალს წიგნი რომ ახეთქე თავშიო. – წიგნიც ვახეთქე და სილაც ვაჭამე! მაშინ ყველაფერზე გვემზიარულეობდა და ზეღამატებული ხალისით საცესნი საქილეოს ნიადაგ ვპოულობდით. ლითი პოეტე ჰყავდა გადაიდებულო, დათვრობოდა და ნახის კარსა და ბანს არ უგულებდა. – პატარა ტანის რომ ვარ, ფხიზელი ვერ მაგენებს, მთერალს სამად ვუჩვენები და ადვილად მპოულობსო! შენ უნდა გაგიქსით ფალაენადო, კული ამოაქუბინოო: „დაგერვხ თოვსა ბაწარსა, ჩაუგუდებ და ამოვიყვან ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა“. „რწილი და ჭიანჭველას“ ზემობირად ჩავაბულებულებდით და სიცოლით ვებთრდებოდით. – ერთხელ ნანემსარი გაულურჯდა, ექიმმა საფენები გამოუწერა. აფთიაქში შეეშალათ და კამის წყალი მისცეს. გაუკეთესება რომ ვერ იგრძნო და სიცხით გაოსავათა, ექიმი ისეე გამოიძახა. – უჩივლეო, მებობლები ჩასახბონდნენ, ნაზი თავს აქნევდა: – პოეტე და ჩივილი სად თქმულაო! – სკამზე ვერ დასვაში, შემოგრიხდებოდა, დაგვხედავდა და ყვაგილიდან ყვაგილზე მოფარფატე პეულასავით გაფარფატებოდა. მისთვის



უსიყვარულო გული ფუჭყავილა ბუერებით გადათერებულ მიწას მოჰკავდა და ყოველითვის ვილაც უყვარდა. ჩვენ რომ ჩაცმულები ვიყით, ვერცერთი გოგო ვერ შეგვედრებოდაო! – იტყოდა და მორცხვებ თვალებს მიხენდავდა. – ნაზუა! ქართული შუოლადი ჩამოვიტანე! – და ჩურჩხელებს ამოვულავებდი, მერე დაუმორიშორდა. ჩემი მწერალია კავშირის მდინად არჩევა გახდა ჩვენი წყვილების საბაბი. მოადგილეობა შეურაცხყოფად მიიღო და ყველას დაგვეუმძრახა. მითქვიას-მითქვიასა მოჰყვა, პატარა წყნა გაჯირჯვდა და მისულა-მოსულა შეეწვიებო. – როცა დავქმარშვილიანდით, წყნა დავიყვიწყით და შვერიგდით. ნაზიმ სუსტ მხრებზე სამი ბარტყი შემიოსვა და სიმძიმე წელში გადუნა. მადაგახსნილი ბიჭების დაპურებას ვეღარ ასდიოდა. შემოძიოდა: – შვილები არ მიგინებენო. ვერა და ვერ დავიცივროსო. ფეხბურთის თამაშს ვერ ვუშლი და ფეხსაცემლების ყიდვას ვეღარ აუვლიდარო. ქალი, ვინც დიდილოებს შესტროფდა და ღრუბლებში დაფრინავდა, ჩინში მოემყვინდა და ხელმოყვილობამ თავი დაღუნინა, მისც მონუსუნე არ მიხანავს. თანდათან სასუთრო სასულეში სწავდა და ოჯახში შვითი ჩამოვარდა, ნიწამხდარმა და ნადვეგადაუყვრელმა ძილის ტაბლეტების გროვა გადაუღაპა და თავი მოიწამლა. ჯანსუფ ჩარყვიანის თვადიდება რომ არა, სიცოცხლეს გამოუსალმებოდა. ვერც მერე გადიოდა ფონს უჭირველად წყალში ჩაყარდნილივით ფართხალეობდა და ბედს ეჩრჩილებოდა. შვილები წამოზარდნენ და მტტი და მტტი სჭირდებოდათ და იმედაცბუნე-

ბული ხანდახან ენას თუ გააავებდა, არ გაემტყუნებოდა. ჩემი წიგნის პოპულარიზაციის თავმჯდომარეობისას ხშირად ვურეკავდი, რომ ჰონორარით შევშველებოდი. ან ვის წაიყვინად ნაზიმე უკეთესს ლიტერატურულ საღამოებზე. – ჩემს სოფელში ჯერაც არავის წამოვგონებვარ, მივეპატყვიო. – არც მეო! – შევაგებები და გავიცინებდით. იცოდა ნაზიმ, უსაყვრელთაოისი აღიარება და სიყვარული რომ ჰქონდა ხალხში მოპოვებული და დველფად რომ ერთით გულწინ მისი ლექსი და, თუძცა ბეღმა მიწაზე გაკურა მონდობა, მაინც ფრთებს აფათქუნებდა ცაში ასაფრენად და ბოლომდე სულიერება და აღმაფრენა არ დამტრიატა. ბოლოს ავადმყოფობამ დაივლო. ლოკინში ჩამდებიარდა და ვეღარ გამოთელდა. არ მიმიტოვებია, ხელფასსა და ჰონორარს ავიღებდი და მივკითხავდი. – ჩემი სულიანდგომელი ხარო! სითბო გამჯდარი ხმით მეტყოდა. – არ ვიცი ღმერთი რით გაგანაწყომო! ბიჭები სიგარეტის მოწვეას მიშლიანო, ეს ერთადერთი ნეტარებაა ჩემთვისო. მეცოდებოდა, მაგრამ ვერ ვებდავდი სიგარეტის ყიდვას, არ დამეჩქარებინა მისი საამქვევრიდან წასვლა. – ძვალად ვეღარ ვიძულებდი, მაგრამ გონება არ დამიშინებოდა. მიუჯვდებოდი საწულთან და ვაციხებდი, ძველმოსაგონარი კა გამოვლეველი ვეჭვონდა. – ის რომელი მწერალი იყო, მუშტი რომ ჩაუთაქეო, უნივერსიტეტში რომ გაგრიცხესო, თუ გახსოვსო! არც მე ვრჩებოდი ვალში: – კამის წყალი რომ მოგცეს ქარებისგან დასაცლელი, ეს როგორა იყოო. – მომცრო ტანის ვიყავი და ბედს დავეკარგეო. მასწავლებელი მედავებოდა, ფუნზე ადემი და ისე მიპასუხებო, მერხზე მჯდომიარე ვევიწეო მუღამ! და ისე უწინდებურად გულიანად იცინებდა, მაშინ არ იცოდა, რომ მაინც ბუღინი ქალი იყო, რომ ორი შვილის სიყვდილს არ შეეწერა და უფრო უარესად ნამწარევი და გულნაიარევი არ აღესრულა. ნაზი კილასონის ლექსები სამკურნალო სურნელოვან ყვავილებს ჰგავს, სწეულს წამლად რომ შეერგება და მძიმე ავადმყოფს სიცხეს გამოუწუნებს, მისი წიგნები მტყორან არქივებში არასოდეს ჩაინალებს, რადგან ყველა ჩვენგანმა მისისყუთრა და მის გულის ცეცხლს მიფიცებულები ვთბებით და ენეტარებით, მაგრამ მის წინაშე პირმტრცხენილეთ დაგვართო, რომ საწყლადმოსაყოფელი არ მიუწინებო! სჯადც მისი საწყლდი მიწა იყო განყუთონილი. ხშირად მეკითხებინა: – ნაზის საფლავს კუნჭულ-კუნჭულ ვეძებდი დიდების პანთეონში და ვერ მიგვინაო! იქნებ მიგვინაშნოო! – დაიბ, ხალხმა იცის, რომ მისი ადგილი დიდების პანთეონშია.

გამომბეჭდილია „მწერლის გაზეთიდან“

უამოდგომა უამოსულა გვიანი

წლები გვახვედრებენ ერთმანეთს და გვაშორებენ. წლები გველამაზებენ ცხოვრებას და გვაძწუნებენ. ჩვენი ჟურნალი 80 წლისაა – ხანდახნულიც (გვიან შემოდგომაში შესული) და ახალგაზრდაც: ხანდახნული იმიტომ, რომ 1923 წელს დაიბადა. ახალგაზრდა კი – 1957 წელსაა მეორედ მოვიწინილი.

თუ მეორე დაბადებიდან დავიწყებთ, იგი ჯერ 46 წლისა და მეორე თობითამდე ბევრი უკლია.

სწორედ მეც მასთან ერთად დავიბადე ჟურნალში. 1957 წლის მასიში პირველად შევხვდი თუი აბაშაძეს, რომელიც ახლად აღდგენილი ჟურნალის რედაქტორი იყო.

... თავისთან დამბარა. ოთახში მარტო იყო. – ლია ვარ, კა-

მეორე დღეს, იმავე ოთახში, იმავე საათს ყველა ერთად ვნახე, თუმცა ცალ-ცალკე შემოდიოდნენ.

ჯერ თეთრი კაბა დავლანდე, შავი კოლელით. შევხედე, ვიცანი, ჟურნალისტიკის კურსდამთავრებული, ჩემი მომდევნო გამოცემა – ნაწული ბარათაშვილი, რომელსაც ყველანი „ჭუჭუტულას“ ეძახდნენ, დიმიტისას ლოყები ეჭუტებოდა.

გამისხარდა. გვერდით მომიჯდა. ისიც გახარებული ჩანდა. მერე კი არ შემოვიდა, შემოიჭრა მალაქუსლებზე შემდგარი, ახლად თიბდახვეული კონტაქალი, მოგვესალმა, ავგებდ-დავგებდა, მიცნო, მისი შვალის სკოლელი ვიყავი, იგი ქიოევიან დემუროვა იყო.

მძიმე ნაბიჯებით გადმოჭრა ოთახი მძივებიანმა ლამაზმა ქა-



● მარცხნიდან: ვერიკო გეგეჭკორი, ნაწული ბარათაშვილი, თუი აბაშაძე, ლიონარდო შენგელია, მირცა კალანდაძე, ლია გოგიშვილი, ლია კაკაბაძე, რამინ მელაძე, ქეთევან დემუროვა.

კაბაძე მეთქი. – გვეყვანი. წამოვდა, ოდნე პაუზავით შუაოთახში შემომიგება და ხელის ჩამორთმევის მაგიერ გადამეხვია. გამეყვირა. მას კი ასე ჩველი. საოცრად უშუალო იყო. ასე ხედებოდა ყველას, ვინც ერთი შეხედვით მიუწინებოდა.

დავსხედით, ახლის მოჩინდი. სკამი გავაჩოქე. ვაიღიმა. თუქ თვალები მანამდეც უღიბოდა; ხმა თბილი და ოდნე დაგულული ჰქონდა; ჩვენიან იმუშავებთი.

- მე „ახალგაზრდა კომუნისტში“ ვუშობო.
- ვიცო. მომწონს თქვენი წერილები, ამიტომაც იქნებ ჩემთან გადმოვიდეთი?

და მთამო ქალთა ჟურნალის ისტორია, რომლის პირველი დღეებიც კარგად ახსოვდა. 1923 წელს, როცა ჟურნალი დაარსდა, თუი 16 წლის იყო და უკვე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა.

მთიანა მისი პირველი რედაქტორები, ორგანიზატორები, აქტივისტები – ლია ვასკიანი, თამარ ადამიძე, სონია თალაკვაძე, ნინო ჩარკვიანი... გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით – „ჩვენი გზა“, „მშრომელი ქალი“. 1939 წელს ეს „მშრომელი ქალი“ რატომღაც „დაასვენეს“.

- აღდგენილი ჟურნალი სექტემბრის თვეში უნდა გამოვიყუ-შუათ. დრო არც ისე ბევრი გვაქვს, მაგრამ კარგი კოლექტივი შევარჩიე. თქვენი იმედი მაქვს. დავთანხმდი.

ლატონმა, ჩემი მეგობრის მქობულმა ვერა გეგეჭკორმა. ერთმანეთი მოვიყიბეთ... აღარ მასსოვს როგორ გაჩნდა მაგი-დასთან თეთრბავჯიანი, სუსტი აღნაგობის ოქროსფერთმანი მეფეა კვარაცხელი. მე რომ სტუდენტი ვიყავი, იგი ფილოლო-გიის ფაკულტეტის ასპირანტი იყო. ჭკვიანი გამოსვლები ჰქო-ნდა, თავისი გუნდი ჰყავდა და სულ რაღაცნე მსჯელობდნენ, საოცარ პატივს სცემდნენ. მეგონა, პროფესორობას აპირებდა და ჩვენიან აღმოჩნდა. მოსკოვში კვალიფიკაციანე იმყოფებოდა და მალე სამუშაოდ მოგვევლინა ნიჭიერი ჟურნალისტი, რამინ მელაძე, რომლის პუბლიცისტურმა წერილებმა და ჟურნალის ტექნიკურმა გაფორმებამ მოწონება დაიმსახურა.

გამასხენდა ქალბატონ თუოს სიტყვები: კარგი კოლექტივი შევარჩიეთ.

დანარჩენები სხვა დროს შემოვივიერთდნენ. მხატვარი ლიონარდო შენგელია, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი, რომელსაც მასავით ნიჭიერი მხატვრები დიმა ერისთავი და თარხან მოურავი ხშირად ავითხავდნენ, მსჯელობდნენ, ჟურნალის კარგად გაფორმებაზე ფიქრობდნენ.

შემეოილებოდა, ლამაზი, თანაც მორცხო (გოგოებთან წითლფეხადა ხლტმე) ფოტოგოპორტიანი, პროფესიით გეოლოგი, სტაჟიანი მთავრული გურამ თიკანაძეც შემოგვეერთდა. პირველად მასთან ერთად თუოს მძლოლმა კაზრეთში ჩამიყვანა, სადაც სამბებრო სამუშაოები უნდა დაწყებულიყო და გეოლო-

გებისთვის დროებით ბინებს აშენებდნენ. ზოგი ოჯახით შესახლებულიც იყო. ვერაბად იცნო იხინი, მათთან ერთად დაესხნით და დაღამებამდე ეთხოვებოდა. ჟურნალში ცინცხალი ფოტორეპორტაჟი გაუკეთებია.

გურამი რომ მთის დალაშქრისას სვანეთში დაიღუპა, ცნობილი დავეთ აკობაშვილი, ნამდვილი ფოტოხელოვანი შემოვივი-ერთდა.

მაღე ჩვენი გუნდი ლია გოგონებმა დაამშვენა, ახალგაზრდა მწერალმა და ჟურნალისტმა, რომლის მიზიზრობებს „ცისკარში“ ვკითხულობდი. შემოგვეპატა ნანული ცაგარეიშვილი, ანალიტიკური აზროვნებითა და მაღალი გემოვნებით გამოჩნეული.

მივიღენ და შევიყვარეთ ახალკურსდამთავრებული, შევლიეთ ლამაზი ირმა ჩაფიავაშვილი და ჯერ კიდევ სტუდენტები ნანული ბუკია.

მართლაც და, ნაღები შევარა, რამაც ჟურნალის შინაარსსა და გაფორმებაზე პასუხ აასხა.

ჟურნალის იტაცებდნენ, ხელიდან ხელში გადაჰქონდათ, ვიხურობდნენ დაძებდნენ, რომ ვერ მოვლდებოდნენ, მოდიოდნენ და ჩვენთან კითხვობდნენ, გვიხიზნებდნენ ტრაჟიკის განზრდა, მართლაც, იგი 10 ათასიდან 15, 25, 60 და ბოლოს 180 ათასამდე გაზარდა. სადღე კი ჩავდიოდი. ქალაქსა თუ სოფელში, „საქართველოს ქალს“ ვასწავნებდით და სიხარულით გეგზვებოდნენ.

მეითხველებთან შეხვედრა და მივლინებები ისე ხშირი იყო, რომ თბილისში ჩამოსვლები მასალებს ვტოვებდით და ისევ მივემგზავლებოდი. ასე მოვიარე ბალტიისპირეთი, მოსკოვი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი. უნახავი არ დამიტოვებია საქართველოს სოფელი და ქალაქები. უფრო ხშირად მე და ნანული (მუტალია) ვიყავით ერთად. რასაც ვნახულობდით, ვწერდით, რა თქმა უნდა, ქალთა შრომისა და ცხოვრებაზე, მათ ოჯახებზე და შევიღებზე, მეუღლეებზე, პრობლემებზე, ჭირსა თუ ღონინზე.

ჩვენს პასუხისმგებელ მდივანს მირკა კალანდაძეს ახალგაზრდა ყმაწვილებთან საუბარი უყვარდა, ჭადრაკზე, ფეხბურთზე სწორად მსჯელობდა, მსოფლიო მწერლებს იხსენებდა.

მღვა კვარაცხელია დამწვებ ნიჭიერ პოეტებს და მწერლებს დაეძებდა და რედაქციაში იბარებდა. ჩვენთან დაბეჭდვს პირველი მოთხრობები თითარ გობრონიძემ, სოსო კორინთელმა, გიორგი სანადირაძემ. პემინგუევი რომ მოვალა შემოვიდა, მათ ნათამებ თარგმანები მოგიტანა. ახალგაზრდა უნიჭიერეს მხატვარს ბულა ბერძენიშვილს პირველი პერსონალური გამოფენა ჩვენს სამუშაო ოთახში მოეუწყვეთ. ხალხმა ეს რომ გაიგო, სანახავად მოდიოდნენ.

ნანული ბარათიშვილს მდივინა და „საოჯახო კლუბი“ ებარა. მედიოვლებთან მასალაზე რომ მიდიოდა, პროფესორები სწორდის წასაყთხად რედაქციაში აყითხავდნენ. წყობლები ჩვილი ბავშვის მოვლის შესახებ ყველა ნიშნებში იბეჭდებოდა. შემოკრებილი ჰყავდა ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, არქიტექტორები, ხელნაქმის ოსტატები, კულინარები.

საკუთარ ნარკვევებზე როცა ვმუშაობდით, ზოგჯერ ერთმანეთის აზრს ვიზიარებდით, გამზადებულ სწორდებს ვკითხულობდით და როცა მიგვეწინებოდა, სიხარულს გამოვხატავდით.

სამსახურში თუ დავდიოდით, ვერ ვერძობდით. რედაქცია ჩვენი მეორე სახლი იყო, სადღე სიმშვიდე, ურთიერთგება და ერთმანეთის სიყვარული სუფევდა. ახალი რედაქციორი მარკა ბარათიშვილი თავს გვეკლებოდა. ნაზი კილასონიას ახალი წიგნის წაყითხვას ვერაგონ ასწრებდა. ჟურნალი „იუნოსტიკ“ პირველად მას უნდა გადაემაღა. როცა ჩემს საყვარელ მწერალს

ვასილ აქსინოვს წააწყვედობდა, ულპარაკოდ მიმოიბღა. თავად გაირინდებოდა და მუზას უხმობდა.

პასუხისმგებელ მდივანე ვიერ გავიაროის მოსვლამ თავისეზური სიო შემოიტანა. თვატრი და კინო გამოჩნეულად უყვარდა და უსწარულიდ შეეძლო ესაბოდა. კინოფილმებზე ცინცხალი შლეჯი ჩაგუნავას მოეღვეს ბერი ცეცნარი ჰქონდა და წერილი და ნამვილ, დახვეწილ ინტელექტებს კარგად იცნობდა. მათთან ჩვენი შემდეგ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა.

რედაქცია ჩვენი მეორე უნივერსიტეტი იყო. ღონისძიებებზე, შეკრებებზე, თვატრებში ერთად დავდიოდით. ქალაქისი მარკა უწყვერდ არასდ წაყილდა, ჩვენი გამოჩენა უყვარდა, გავფრთხიანებდა, ასპარეზზე გამოვყავდით და ჩვენით ამაკოდავი.

ღრო ისე დავგიტრიალდა, ბვერი თანამშრომელი დავკარგეთ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნანულის გარდაცვალება განსაკუთრებით განვიცადეთ. ახალი რედაქციორი ნარგმა მგელამდე უღრინოდ გამოვეყვალა. ვინც დარჩინი, ერთმანეთს ვეფერებოდა.

პოეტე და ჟურნალისტი ნაზი თარგამაძე იმედიანდ შემოგვახებებს ხოლმე და გვამხნევეებს. იგი ჩვენი ჭკუის დამრიგებელი და სულიერი მეგობარა. ღმერთმა კარგად გვიმოყოფოს.

მხატვარ-რედაქციორის ცინარა ტერეკლასის შემოქმედებით წარმატებები ყოველთვის გვიხაროდა. მისი მაღალმხატვრული ხელოვნება მრავალჯერ მსოფლიო გამოფენებზე წარადგინეს. ილუსტრაციები, რომლებსაც იგი ჟურნალში ათავსებს, ზოგჯერ მოიხირობაზე უკეთესა.

ირმა ჩოფევაძეის საინტერესო თემების მოძიება უყვარდა და მერე მათ ორიგინალურად ამუქებს.

ნანული ბუკია მსახიობთა შემოქმედებითა და ცხოვრებითა და ინტერესებებით და მათ შესახებ მეთხველსაც უამბობს.

რედაქციის ცხოვრებას დღეს ახალგაზრდები ახალისებენ. გავიფილებს გამეგებად პროფესიონალი ჟურნალისტები შემოგვემტანენ – მარინე ნაკაიძე, ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, მანანა იმესაშვილი. მათ კალამიც უჭრიო, საკუთარი ხედვაც აქვთ და იმის უნარიც, მძიმე დღეებში ჟურნალს არავფერი გაუჭირდეს.

ასეთია ჩვენი ჟურნალის დისტრიბუციონალი 46 წლის გადასახედიანდ, ჟურნალისა, რომელიც ისიც 80 წლისა.

შემოდგომა შემოსულა გვიან...

ლია კაკაბაძე



● რედაქციის თანამშრომლები და სტუმრები: მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ლია რეჟია, გვიე ჭიჭინაძე, ნაზი თარგამაძე, ცინარა ტერეკლაძე, ნარგმა მგელაძე, ლია კაკაბაძე, დგანან: მარინე ნაკაიძე, ირმა ჩოფევაძე, მანანა იმესაშვილი, ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, მანანა ზარიძე, ნათია გვაასალია, ნანული ბუკია.



„უასაკი“ მანდილოთსანი



ქიმ რუსუდან ლომიძის შესახებ იმდენი სტატია მაქვს დაწერილი – იმდენი მოხსენება თუ გადაცემა მაქვს გადებული, რომ მისი ავადმყოფობის სახელები და ისტორიები თითქმის ზეპირად ვიცი; – სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც უკვე ისე კარგად ვერკვივი, ზოგჯერ ექიმი ვგონივარ მსმენელს.

ყველაფერი კი 1995 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა ბატონმა თამარ წიფწივაძემ ჩვეულებრივი სტატიის დაწერა დამავალა ამ არანაყოლებრივ ექიმზე. არა და, როგორ გინდა, ერთ ან ორ საგაზეთო გვერდში ჩატიო ყველა ის საცურება, რაც ფიტო-თერაპევტის ირგვლივ ხდება... მას შემდეგ რუბრიკით „სენსაცია“ არაერთხელ დავბეჭდე ვრცელი სტატიები „ლიტერატურულ საქართველოში“ და ბევრს უკვირდა, რატომ ეთიბობდა ამხელა ადგილი ექიმს მწერალსა გაზეთში. ზოგმა ისიც მიიხრა, თითქოს ლომიძემ ყალიბი აწყობები და მისიველი პაციენტები დამახვედრა რეკლამის მიზნით; – მე კი, აბსოლუტურად დარწმუნებულმა ექიმის პატიოსნებაში, გადავწყვიტე სპეცტიკოსებიც დამერწმუნებინა და ამ მიზნით ვივკლ საღამოს დავდიოდი მის კაბინეტში, დინამიკაში ვიწერდი პაციენტების მდგომარეობას, დაეკვიბოდი მძიმე ავადმყოფობითან ბინავი თუ საავადმყოფოებში, – ასე ვთქვათ, „ჟურნალისტურ გამოძიებას“ ვწყოდი.

მას შემდეგ „ლიტერატურული საქართველოს“ გარდა მრავალ ჟურნალსა თუ გაზეთშიც დავბეჭდე სტატიები, რადიო-სა-დატელევიზიო „ამერიკის ხმოვანი“ გადავეცი რუსუდან ლომიძის შესახებ და ამერიკის კიბოს კვლევის ცენტრის პრეზიდენტსაც ვაცნობე ის დაუჯერებელი შედეგები, რასაც ფიტო-თერაპევტი აღწევს. ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა დიდი ლასლომ კი მოგვწერა: მეცნიერი-ინოლოგის დასვენა გამოიძიებაწესით. თუკცა, რომელი მეცნიერი ახსნის იმ საცურებას, როცა ავადმყოფის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში დაუდგენენ ავთვისებთან სიმსივნეს, მერე ეს ავადმყოფი ჩაიტარებს ლომიძის სასწაულებრივი მეცნარეობით მკურნალობას და პრაქტიკულად გამოკანონივლებული უბრუნდება ოჯახს. (რასაკვირველია, ყველა შემთხვევაში ასე არ ხდება, მაგრამ 100-დან 70-ში ნამდვილად დაღებიანი შედეგია).

რუსუდან ლომიძის ფიტო-ექსტრაქტების ონკო-თერაპიული ეფექტების დადგინდა, მიმდინარე წელს ჩატარდა ექსპერიმენტული ლაბორატორიული გამოკვლევების ომთხოვანი ციკლი:

რუსეთის ნ.ნ. ბლოხინის სახელობის კიბოს კვლევის ცენტრიდან ჩამოიტანეს ორი სახის შტამი – „ერლხის კანცერომა“ და სარძევე ვირეკლების სიმსივნე.

ციტო-მორფოლოგიური გამოკვლევებით და სპეციალური ტესტებით დადგინდა, რომ საკვლევ მიქსტურას გააჩნია:

I ზოგად-მასტიმულირებელი მოქმედება, რაც გამოიხატება ლაბორატორიული ცხოველებში:

1. საერთო ფიზიკური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების ზრდაში.
2. გენერაციული ფუნქციის ექსპერიმენტულად სარწმუნო გაძლიერებაში.
3. ფიზიო-ნერვული მახასიათებლების გაუმჯობესებაში (ტესტების შედეგები).

II ონკო-პროტექტორული თვისებები, რაც გამოიხატება:

1. ონკოლოგიური შტამების ცხოველებზე ზემოქმედების შესუსტებაში.
 2. სიკვდილიანობის შემცირებაში – სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაში.
- გადაწყვეტილი მაქვს, ამ წერილში არც ერთი ავადმყოფის ის-



რუსუდან ლომიძე მშობლაშვილით ერთად



● რუსუდანის შვილიშვილები რუსუდან და თამარი, შვილიშვილი მარიამი, სძვე ბონდო აღასანია

ტორია არ განვიხილო, მაგრამ მოვეკვიბი მხოლოდ ერთი ოჯახის შესახებ, რომელსაც ქალბატონმა რუსუდანმა ორმაგი სიხარული მიანიჭა. ეს ოჯახი სვანეთში ცხოვრობს, სოფელ ბუნაში, – სპარტაკ კვიციანის დღვას თავის ტვინის სიმსივნე დაუდგინეს და დიღბანს მკურნალობდნენ საუკეთესო სპეციალისტებთან თბილისის №1 საავადმყოფოს ნეოროქირურგიულ განყოფილებაში. საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ გადაჩრჩინეს იმედოვანი მცირე იყო. რაკი არანაირი მკურნალობა შედეგს არ იძლეოდა, ავადმყოფი უმძიმეს მდგომარეობით გაწერეს კლინიკიდან – არ ქონდა მხვედვლობა, გინება, სმენა და მტკვევლების უნარი. სვანეთში ჩასულვას ვიღაცამ „ლიტერატურული საქართველო“ მოუტანა და ავადმყოფის ვაჟი მაშინვე თბილისში წაიყვია. მუც იქ ვიყავი. სპარტაკმა რომ დღვას ისტორია მოუტანა ლომიძეს; – უმძიმესი შემთხვევაა, ჩემი კი არა, დღვორის იმედი გქონდითო. – თუკა ექიმმა, და, მოხდა სასწაული: ათ დღეში ავადმყოფმა არა თუ ლაპარაკი, სიარულიც კი დაიწყო. ამ დღ სიხარულს მეც ვისიარებდი ექიმთან ერთად, რადგან ჩემი გამოკვეყნებული სტატიის შედეგად მოვიწიე კვიციანის მკურნალობა. სულ მალე, თერაპიულურში პაციენტმა მიანიხილა

თავის მხსნელი და მადლიერების ნიშნად საკუთარი ხელით გაკეთებული სულგუნები მართავს, თანაც დაძინა: ჩემს სიცოცხლეს რა აზრი აქვს, როცა ჩემს სპარტაკს 7 წელია ოჯახი აქვს და შვილი არ უწინდებო. ქალბატონმა რუსულანმა დიდილით უთხრა: მოდი, მაგ პრობლემასაც შევეჭვდიოთ; და, აქაც სასწაული მოხდა – ქალი, რომელიც 7 წლის განმავლობაში სად აღარ მკურნალებდა, 1 თვის ფიტო-თერაპიული მკურნალობის შემდეგ ფეხმძიმედ დარჩა; – ახალმოიღეს კი ექიმის პათეისაცემად რუსულანი დაარქვეს, მალე მეორე შვილიც შეეძინათ... ეს ერთეული შემთხვევა როდია, ქალბატონ რუსულანს არაერთი ოჯახი გაუბედინებია მეყვი-

დრის დაბადებით. მშობლები მადლიერებას იმით გამოხატავენ, რომ გოიონებს რუსულანს არქმევენ, ვაყვას კი მისი ერთადერთი ვაჟის – მალხაზის სახელს.

რუსულან ლომიძეს ერთი შვილი ჰყავს, ორი შვილიშვილი და ერთი შვილიშვილი. რასლი – მშენებელი მართინა წულუკიძე ექიმია, შვილიშვილები – თამარ და რუსულან თავებრიძეებიც ექიმები არიან, ორწლიანსავე მართინა დალასანიაც თეთრ ხალათს ითხოვს – „სამსახურში“ მივდივარო.

არაჩვეულებრივი ექიმი, არაჩვეულებრივი დედა და ბებიაც არის და, საერთოდ, უკეთილმოზიდვის პირიყვებაა, – ის ბუმბერაზი ბავშვია – სათნო და ალალი. სწორედ ამ თვისებების გამო უწყალობა ალბათ უფავლმა ის მადლი, რომელსაც მისი ხელის დადებისთანავე გრძობის პაციენტი. აქვე აღენიშნავ, რომ მკურნალი უზუსტეს დიაგნოზს ადგენს, რაც შემდგომ კომპიუტერული გამოკვლევით დასტურდება ხოლმე.

ქალბატონი რუსულანი სანამ ფიტო-თერაპევტიკას დაიწყებდა, ჩვეულებრივი, ტრადიციული მეთოდებით მკურნალობითაც შესანიშნავ შედეგებს იღებდა. ეს კარგად ახსოვთ დიდუბელებს, სადაც თერაპევტად მუშაობდა და ახსოვთ ყვარლისა და საირმის კურორტების დამსვენებლებს, სადაც ზაფხულის თვეებში მუშაობდა მკურნალი.

ალბათ რუსულანის ასეთ დიდებულ პროფესიონალად ჩამოყალიბებას იმხანაც შეუწყო ხელი, რომ ობლობაში გარდაცვალებული გოგონა დიდი მონღოებით სწავლიდა, რათა კარგი სპეციალისტი დამდგარიყო და შიმშილის პრობლემა მის შვილსაც არ ჰქონოდა.

დღეს რ. ლომიძე უკვე საქართველოს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის, საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, არის საერთაშორისო ჰერბალისტთა და ჰომეოპათთა ასოციაციის კონსულტანტი, ამავე დროს კიბოსთან ბრძოლის ეროვნული ცენტრის საპატიო წევრი, მნიშვნელოვანი აქვს დირექტის ორფენი.

რუსულანი ღრმად მორწმუნეა და მთლიანად უყვარება მინდობილი, – მრავალ მიწვევლებას გასცემს, ბევრ გაცირებულს უფასოდ მკურნალობს, ეკლესია-მონასტრებს უხვ შესაწირავს სწირავს თუ სერსათ-სანივაგით, თუ შესაძლებელია, თუ თანხის...

რუსიო ექიმი უაღრესად ერუდირებულია – კარგად იცის, როგორც რე-


ლიგიის, ასევე მსოფლიო და საქართველოს ისტორია, რუსული და ქართული მწერლობა, ამასთანავე მშვენიერ ლექსებსაც წერს. მისი სამუშაო დიდ დროს 8 საათიდან იწყება და დამის 12 საათამდე გრძელდება. შპაბი-კვირის მცენარეების ასადგენად გადის მოთხას თუ ველურზე, საუფლო დღეებში კი წირვა-ლოცვას ესწრება. მხოლოდ ამ დღეებში ისვენებს, თუ დასვენება ჰქვია იმას, რომ წირვის შემდეგ გაჭირვებული ახლობლების მოსახსნელად დადის.

ერთხელ ბორჯომში ვისვენებდით ათი დღით, თუქცა ქალბატონი რუსულანი მხოლოდ 4 დღე იყო სახლში, ისიც იმით, რომ იმ დღეებში წვიმდა. დანარჩენ დღეებში კი ის და მისი ძმა – ბატონი თენგი ლომიძე დილაუთონა მიდიდნენ ბაკურიანის მთებში მცენარეების ასადგენად; – საღამოს კი, შმის ჩახვლისას, სანატორიუმის ეზოში ყვავილების დიდი ბუჩქი შემოგრიადლებდა ხოლმე – მანქანა აღარ ჩანდა, ისე იყო საზურავიან-საბარჯულიანად დაბტიროული და, ამ ყვავილებში ქალბატონი რუსულანი იმიდან გამარჯვებით დაბრუნებულ სარდალით გაბადრული ჩანდა. ერთხელ მეც გავვეუო მთებში, მაგრამ დეკას მეტი ვერაფერი მოკრიფეთიონი ეს შამანრამც უშინდა შედიდა და ციკაბზუეც აღმისტივით დადიოდა. წამოსვლამდე ისე დავიდალე, მანქანაში ნახევრად მეძინა. უცებ, თენგი, გაანერო! – მომესმა. კლდის წვერზე რაღაც მცენარე დაუნახავს და მის მოსაწყევტად გადავიდა მანქანიდან. შიშისგან თვალებზე ხელი აკეფეო, ის კი მვერცხლად ავიდა ვეფერე და ის ერთი დერი მცენარე მოწყვიტა. – ამას გულის დაავადებებში ვეფენ. უნაელორა, – სიხარულით მითხრა და კვლავ მონადირის თვალთ დაუსწო თვალთერება ზმისპირა მცენარეებს.

რუსულან ლომიძე დაავადებების გარდა დროც დაამარცხა – თანდთან თავისი შვილის ასაკს უბრუნდება. ღმერთმა ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერება მანიჭოს ამ „უკასო“ მანდილოსანს.

PS. სამწუხაროდ, დღეს ერთობ გახშირდა ონკოლოგიური დაავადებები და მეთხველს ვერჩევიტ ვაზაფუულსა და შემოდგომზე ჩაიტიარონ პროფილაქტიკური მკურნალობა ლომიძის სასწაულებრივი მცენარეებით.

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი



● მარიამი

შურნალ „საქართველოს კალის“ რედაქციას!



მეგობრებო, მთავრად მოკლე, სიკეთის მეტევე, სიხალის და მამკვიდრებელი - ასე წარმოედგება თაოსობით მეთხველს ჩვენი სამაგიდლო შურნალი, რომელსაც მართლაც, რომ შესაფერისი და განმსზაგადებელი სახელი ჰქვია - „საქართველოს კალი“.

გვიხარია, რომ წლეულს ამ სასიქაბელო შურნალის 80 წლისთავია. 80 წელი! - მართლაც სოლიდური ასაკია! აქამდე ვერ მოაღწევ (მითუმეტეს დღევანდელი კონსერვაციის პრობემში), თუკი უღერესად პროფესიონალურად, გონიერულად და გულთბილად არ მოქედებო ამ დიდ საქმეს, რასაც საფურნალო-საკამოქმელო საქმიანობა ჰქვია. თავისი არსებობის მანძილზე შურნალმა მეთხველს სიყვარული და ადიარება მოაძიო; იგი ქართული ქალბებისთვის უპირველეს საითხზე შურნალად იქცა. ალბათ, ახელა მსოფლიოში მთერე ქვეყანა მოიძებნოს, რომლის ისტორიაში ქალებს ისეთი განსაკუთრებული ადგილი დაემკვიდრებინათ, როგორც საქართველოში. შურნალი „საქართველოს კალი“ გუშინ და დღესაც მთელი გულითა და სულით ასახავს ყველა ამ სასიკეთო საქმეს, რაც ქალთა ძაღისხმეით ხდება. ჩვენ დიდი ძლიერებით აღვანძვით, რომ მის ფურცლებზე აჭარის ქალების ცხოვრება, მისი წარსული და დღევანდლობა აჭარის მთელ წარმომადგენელს.

თქვენთან ერთად ამ საოუბლეო თარიღს დიდი სიყვარულითა და განსაკუთრებული პატივისცემით ეულოცით შურნალის ყოფილ ამბავარ რედაქტორს, ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, დიდებულ ქართველ ქალბატონს მარეკა ბარათაშვილს, რომელმაც აჭარის, მის ქალების თავისი დიდი გულის სითბო და ყურადღება, მიყვარული და მშვენიერი პოეტური სტრიქონები აიკრთხელ აწუქა, შეიყვარა ჩვენი მზარე და ჩვენი გაუტეხელი აჭარის მკვიდრი ქალები, რომლებიც თავანჯარა ქართული ენა დედმდე შეუბილწავად მოგვტანეს. სიყვარულის, თანადგომის, მეგობრობის ეს დიდი ტრადიცია, რომელსაც სათავე ქალბატონმა მარეკამ დაუდო, შესანიშნავად განგებრო დიდებულმა ქართველმა შურნალისტმა, აწ განსვენებულმა ნარეგზა მეტეპემ, რომელმაც მხელდაღობის ვაჟს შექმლილ გადარჩინა ჩვენი საგვარეული შურნალი. ჩვენი მეთხველს არასოდეს დაივიწყებთ მის სულითბობასა და დიდ სიყვარულს ჩვენი კუთხისადმი. გვსამოწუნებს, სიამაფესაც გვმატებს ის, რომ აჭარის ქალთა ცხოვრებისადმი ეს დიდი ყურადღება და პატივისცემა დღესაც ღირსეულად გრძელდება.

გვიხარია, რომ რედაქცია ერთგულია ამ დიდი პრინციპებისა და მარადიული ფასეულობებისა, რომელსაც სამართლიანობა და სიკეთე, სიყვარული ჰქვია და დღესაც ქველმოხედვად იღწვის ქართველი ქალის ცხოვრების შემდგომი აღორძინებისათვის.

გულითად ეულოცავთ შურნალის სახელმძღვანელო კოლეგებს, მის მრავალციფრვან მეთხველს სახელგანთხე თუბილეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უუსურვებთ.

ეკლავაც შემართებით, რწმენითა და იმეით გვეგულეობით ხალხის სამსახურში.

ავტორიობური რეზუმეის, ქალთა საბჭოს პრეზიდენის სახელით აჭარის განათლების მინისტრი, აჭარის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე

ნანი გუგუნავა

ჩვენის აქვანი

3 ამაგობ, რომ იმ კუთხის მკვიდრი ვარ, სადაც დანარჩა პირველად რწმენის ეკვანი და სადაც განუწყვეტლევ მიმდინარეობს კვირიობიერი, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური გარდაქმნები. აჭარის წინსვლა-განვითარება კი სრულად საქართველოს სიღირსის საფუძველია...

ეს სიტყვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრს ქნ ნანი გუგუნავას ეკუთხის. ინტერვიუ ინტერვიუ განვითარებულ ცნობილ მოუღვენებამდე ცოტა ხნით ადრე ჩავიწერე. მას შემდეგ არ შეუქმნიანებარ ქნ ნანის და არ მიხვობია კომენტარს გაეკეთებინა მომდარის შესახებ, რადგან ვერ აუცილებელია ემოციები ჩაცხრეს და ცივი გონებით გაკვიდეს სწორი დასკვნები. ამას გარდა, ქნ ნანი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთხის, რომლებიც აჭარს და შეხედულებებს მწელად თუ იცვლიან.

- ადამიანი სანიელეით უნდა იწყოდეს, და სანამ ანთიხარ, ისე უნდა ენთო, რომ სხვაგა ანთოს შენმა სიცოცხლემ. ჩვენი ცხოვრება მამინ არის ზნეობრივი, როცა ქვეყნის ინტერესებს ემსახურები, - ასე მაინცა ქნ ნანის და ამ პრინციპებით ცხოვრობს თავადაც. მისთვის შრომა, მიყვანის სიყვარული და პატივისცემა დავრდომილისა და გაკვირებულის დახმარება, სამშობლოს სიყვარული უპირველესი დანიშნულებაა. სამშობლო არის მისი საღლიცავი სატი. მისთვის არ არსებობს საქართველოს ჩილოქს გაღმა-გამოღმა. ღვთისმშობლის სატს მუადმ ერთიანი საქართველოს ძლიერებას ევედრება!

დღეს, სამწუხაროდ, ხშირად გაიგონებთ აჭარა დავკარგეთო, აჭარა არ-დაგვიკარგავს მამინაც კი, როცა თურქების მრავალწლიან ბატონობას განიცდიდა და არ დავკარგავს არც ახლა, თუნდაც იმიტიო, რომ თავად აჭარა არ დავკარგავს დანარჩენ საქართველოს.

- მიმიე იყო აჭარელი ქალის ცხოვრება. დამპყრობელთა ბატონობამ ყოველგვარი უფლებები ჩამოართვა და მთლიანად ჩაკეტა ოჯახში. მუხლჩაუხრელი და თავაუბრეული მიმიე შრომა გახდა მისი უცილობელი ზეგერი. მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, მან შეძლო ნაზი, სუსტი მხრებით ეზიდა სამშობლოს ბეღეულებმართობით დამძიმებულ ცხოვრების უღელი და ჩვენამდე მოგვანა სუფთა ქართული სისხლი, ერის სინდის-ნამუსი, მშობლიური დედა-ენა. ჩვენში რომ ერთგული ფესვი არ ამოიძირკვა, უპირველესად აჭარელი ქალის დამსახურებაა. იგი იყო ქართული ტრადიციების დამცველი და ღირსეული გამგებლებელი. იმ გაუსაღლის დროში მან ეწ. „დედბარბოე“ ქართული ანბანი შექმნა და შევიღებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. ჩადრმოხვეული კვრისა დაფუსუსესება, განხილ ვაზს ადაღვენდა და ქართულ სიტყვას ელოდავენად. ჩვენი ქალი მარტო შეიღებს რომი უროდდა ქვეყანას, იგი უპირველესად გულმხურვალე მამულიშობლი იყო, ოჯახის ბურჯი და დედაუნის ფარო...

ასეთი დედების შთამომავალი ცხოვრობენ აჭარაში და აგრძელებენ მამა-პაპურ ტრადიციებს. საბუნდოვოდ, ასეთი ვანსადა რწმენის ქალბატონი ხელმძღვანელობს აჭარის განათლების სამინისტროს, რომლის უშუალო ხელშეწყობითაც იზრდება მომავალი თაობა.

პიჩუქებს აჭაჩაუი დაიჩნა...

დღეს აჭარაში ბევრი რამ კეთდება განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის. განათლების სისტემა ცხოვრების შესაბამისად იცვლის შინაარსს და ახალ დატვირთვასა და დანიშნულებას იძენს.

თუმცა შენება მაშინაც არ შეწყვეტილა, როცა საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა. სწორედ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფაქტს აშენდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი, რომელიც მწახველთა აღტაცებას სამართლიანად იწვევს.

ბოლო წლებში აჭარაში განვითარებული ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების საფუძველზე განათლების სისტემაც თანდათანობით იხვეწება, სრულყოფილ სახეს იღებს. განათლების მინისტრის აზრით, სკოლა, პირველ რიგში, კარგად ორგანიზებული დაწესებულება და სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმი უნდა გახდეს. როცა სკოლა წყალუხვი წიქვითივით ასრულებს თავის ფუნქციას, ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარება და განათლება საიმედო საყრდენს დაეფუძნება, – ამბობს ქ-ნი ნანი და ყველაფერს აყეობს საამისოდ, რადგან დღეს თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში განათლებული თაობის მოსვლას ყველა სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გვემახობიერად ინერგება სწავლების უახლესი მეთოდები. სწავლების შინაარსი განისაზღვრება სასწავლო გეგმებით, პროგრამებით და დადგენილი სახელმწიფო სტანდარტებით. დიდი ყურადღება ეთმობა სკოლებში ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლებას. ამ პროფილით მომუშავე სკოლებსა და

კლასებში დონორებულად ინერგება ხელოვნების ისტორიის, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, მიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთიკისა და სამართალმცოდნეობის სწავლება. ახალი მეთოდების დანერგვა, პრიორიტეტების განსაზღვრა სწავლების ხარისხზე პოზიტიურად მოქმედებს, ამჟამ ბათუმის აკადემიური გიმნაზიის მაგალითი შეგვიძლია. ახალგაზრდა ოურისგან კავშირთან და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის კათედრასთან ერთად გიმნაზიის ადმინისტრაციამ დაამუშავა სამართალმცოდნეობის პროფილური სწავლების პროგრამა. კლასმა, რომელიც ოთხი წელი სწავლობდა სამართალმცოდნეობის საფუძვლებს, წარმატებით ჩააბარა გამოცდები. მოსწავლეთა მოზადების დონეზე ყოველგვარ მიოლოგიის გადაჭარბებას ამ გვეუფის თორმეტ კურსდამთავრებულთან თერმეტე საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხო ენების სწავლებას. ბევრ სკოლაში უცხო ენები მუხუთე კლასის ნაცვლად მეორე კლასიდან იწავლება, თანაც ერთის ნაცვლად ორი და მეტიც.

ნანი გუგუხავა ყველაფერს აყეობს ზნემაღალი, წიგნიერი თაობის აღზარდვლად, განათლების პრიორიტეტის განსამტკიცებლად. მასწავლებლების ავტორიტეტისა და ღირსების ასამაღლებლად. მისი მიზანია, ერთეულ ნიადაგზე დაფუძნებული ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა და განათლების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება, რასაც ახორციელებს კიდევ ნაბიჯ-ნაბიჯ და მიზანმიმართულად.

დროსთან ერთად იცვლება ცხოვრების წესი, რიტმი. ბუნებრივია, იცვლებიან ადამიანებიც. კითხვაზე, შეიცვალა თუ არა მასწავლებლისა და მოსწავლის ფსიქოლოგია, ქ-ნმა ნანომ მიასუსხა:

– ერის ცხოვრების ძირითადი ძარღვი განათლების სფეროზე გადის, სადაც ჰედაგოგის როლი განსაკუთრებულია. მასწავლებელი ღირსეულად ეზიდება საპატიო ტვირთს, იხარჯება შრომაში, უნგაროდ, ერთეულად ზრდის თაობებს.

თანამედროვეობა წარმოუდგენელია კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე, რომელიც ნებისმიერი სფეროს წარმატებულ განვითარებას განაპირობებს. ციფრული მიდენინგის ციის გარეშე გლობალიზაციის ეპოქაში გაგვიჭირდება ერთეული თვითმყოფლობის შენარჩუნება. ჰედაგოგებმა კარგად იციან, რომ დღეს ცხოვრება მათ სხვა მოთხოვნებს უყენებს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები ორგანულად ერწყმიან თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას და უდღეს ზეგავლენას ახდენენ არამარტო ეკონომიკაზე, არამედ განათლებაზეც.

დღეს ეპოქის ფენომენის – ინტერნეტის საშუალებით გზა ეხსნება დისტანციურ სწავლებას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების ჰედაგოგებსა და მოსწავლებლებს ერთმანეთთან დაკავშირებს, მსოფლიო უდიდეს ბიბლიოთეკებს წვენთვის ხელმისაწვდომს გახდის და მოგვეცემს სწავლების ტემპის უზოცედენტო ზრდის საშუალებას.

ასე რომ, იცვლება დრო, ცხოვრების წესი და შესაბამისად იცვლება ჰედაგოგისა და მოსწავლის ფსიქოლოგია პროგრესისაკენ.

განათლებაში ჰედაგოგიური მიდგომის შეცვლა დროის მო-



● ბებია და შეილიშეილი

თხონება. საუბარია სწავლების პროცესის ორი სუბიექტის – მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე. ადრე მიჩვეულები ვიყავით, რომ გაკეთილებ მასწავლებელი დომინირებდა. დღეს კი მასწავლებელი და მოსწავლე განიხილებიან როგორც თანასწორუფლებიანი მოქმედი გმირები, რომლებიც ერთობლივად მონაწილეობენ ძვირის პროცესში სიახლეთა აღმოჩენადა.

საუბრისას ქ-ნმა ნანამ წმინდა ანტონ დიდის სიტყვები გაიხსენა: „ეკადე ისე იღვაწი, ისე იცხოვრო, რომ ყოველი ადამიანი გლოცავდეს შენ“.

- ადამიანის უპირველესი დანიშნულებაც ხომ ეს არის! განა სვეთისათვის, სიცოცხლის გაგრძელებისათვის, ქვეყანაზე ზნეობისა და სულიერების ამაღლებისათვის არ გაენდობა ამ ქვეყანად!..

და მაინც, ქართული ტრადიციები ნელ-ნელა იმსხვერვა. ევროპული ცხოვრების წესი შეუმჩველად მვიდრდება ჩვენში, რომელმაც მრავალმა მანიერებმა იჩინა თავი. ბევრ რამეზე სამართლიანად სტყავს უკნ ქ-ნ ნანის, თუმცა სასიკეთო ცვლილებებსაც კარგად ხედავს ამ უთოულეს პროცესში.

- ქართული ტრადიციები საფუძვლად უდევს ჩვენი ხალხის სულიერ კულტურას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიას, ერის ინტელექტს. ევროპული ცხოვრების წესი არ ნიშნავს ერთ-ერთულზე უარის თქმას. პირიქით, ევროპული ცივილიზაციიდან უნდა ავიღოთ საუკეთესო და პარალელურად განვამტკიცოთ ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები, რითაც ესოდნ მიდარება ჩვენი ქვეყანა. მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, ქართველ ხალხს ეყო ძალა და სიბრძნე, შეენარჩუნებინა ქართული სული. მეგვრა, რომ ჩვენი განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც ეროვნული ინტერესების პატივისცემითა და პასუხისმგებლობის უდიდესი გზონკით ხასიათდება, ღირსეულად გააგრძელებს უფროსი თაობის გზას და თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის მშენებლობაში.

ქ-ნ ნანის ღრმად სწამს, რომ ჩვენი ბედ-იღბალი უფალი განაგებს, თუმცა მიანია, რომ თითოეული ჩვენთაგანი ისე უნდა ცხოვრობდეს, უკან მიხედვის არ შეუშინდეს.

- ამიტომაც ვეფიქრობ, არ შეგვიად ადამიანის ღირსებას, თანეგონობით მოვეყოლო სხვების აზრებსა და სურვილებს, გულწრფელად გამოვხატო მაღალიერება, არასოდეს მოვექცევი ვინმეს ისე, როგორც არ მინდა თავად მომექცნენ. ყველაზე ძვირად დღეს დიმილი ფასობს. რაც მეტს გაცემ, სანაცვლოდ მეტს მიიღებ.

- მოწონებ ადამიანი მიმტკვევებელი უნდა იყოს. და მაინც, რას ვერ პაატებთ ადამიანს? - ვკითხუბი ქ-ნ ნანის.

- ქვეყნის დაღატკ, ტყუილს, უმადურობას!
- თქვენი ტკივილი?
- დედა-სამშობლოს მოწვევტილი სამაჩაბლო და აფხაზეთი, და კიდევ ის, რომ დღევანდელი დუხჭირი ცხოვრებიდან გამომდინარე, ახალგაზრდობა, ჩვენი ზვალინდელი დღე, საზღვარგარეთ გაუდინება და სხვა ქვეყნების პროგრესს ემსახურება.

რომისმთეფარების, საქმის ცოდნისა და ერთუფლების წყალობით თავიდანვე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობს. მის სამუშაო კაბინეტში მუდამ გვიანობამდე ანთია შუქი. წუწული არ სჩვევია, მაგრამ ალბათ იღვრება კიდევ, თუმცა სახლის ზღურბლს გადააბიჯებს თუ არა, ყოველგვარი გაღიზიანება და დაღლილობა უკვალოდ ქრება.

ოჯახი მისთვის ყველაფერია. ციხე-სიმაგრეა, სინდისი და ნაშუსია, სული და გულია.

